ბათუმის ხელოვნების სახელწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	***სამსახიობო ხელოვნება*** ***● დრამისა და კინოს სამსახიობო; ● დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო.***
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	***სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი*** ***BACHELOR OF ACTING***
პროგრამის მოცულობა ECTS	240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის საერთო კურსები – 110 კრედიტი; სპეციალობის ძირითადი კურსები -97; საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები – 13; არჩევითი ბლოკები/კურსები - 20 კრედიტი. სწავლება 8 სემესტრი; 1 სემესტრი 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1500 ლარი
მისაღები კონტინგენტი	საგანმანთლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტისა და ბსხუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონტინგენტის მიხედვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე (კონცენტრაციის მითითებით) ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან მხოლოდ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტური ზემოაღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ტარდება სამსახიობო მონაცემების შემოწმების მიზნით ეროვნულ გამოცდებამდე.

თითოეული აბიტურიენტი კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით (მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით.

სამსახიობო მონაცემების შემოწმება - შეფასების კრიტერიუმები

ლექსი; პროზა; იგავ-არაკი					სცენური მონაცემები			*სცენური ეტიუდი*	
ბგერების წარმოთქმის სისწორე და მკაფიობა	*ხმის დიაპაზონის სიძლიერე და კეთილხმოვანება*	*სწორი აქცენტები ზეპირ კითხვაში*	*დამაჯერებლობა, ემოციური ფონი*	*სახიერება*	*რიტმულობა*	*პლასტიკა*	*ვოკალური მონაცემები*	*სხარტი აზროვნება და ქმედებების ლოგიკურობა*	*იმპროვიზაციის უნარი და შემოქმედებითი ფანტაზია*

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 0-10 ქულით

10-9 ქულა - სრულყოფილია	*8-7 ქულა - კარგია*	*6-5 ქულა - დამაკმაყოფილებელია*	*4-3 ქულა - შეიმჩნევა ნაკლოვანებები*	*2-1 ქულა - თითქმის არ პასუხობს მოთხოვნას*	*0 ქულა - სრულიად არადამაკმაყოფილებელია*

100 ქულიანი სისტემით შეფასებისას - 50 ქულა ნიშნავს ჩაჭრას

პროგრამის მიზანი	1.სამსახიობო ხელოვნების ჟანრობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეასწავლოს სტუდენტს დრამისა და კინოს მსახიობის/თოჯინების თეატრის მსახიობის პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო ძირითადი საბაზისო ელემენტები; თანამედროვე სინთეზური თეატრალური ხელოვნების პრინციპებიდან გამომდინარე განუვითაროს მას მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელი პრაქტიულ–შემოქმედებითი, საშემსრულებლო უნარები, გამოუმუშაოს ინდივიდუალური ხედვა და მიდგომები. მოამზადოს მომავალი მსახიობი მხატვრული სახის შესაქმნელად სცენური გარდასახვისა და მისი (სახის) პრაქტიკული რეალიზაციისათვის. 2. აღზარდოს შემოქმედებითად აქტიური ხელოვანი, რომელიც შეძლებს მუშაობას როგორც ინდივიდუალურად, ასევე შემოქმედებით კოლექტივში - თეატრში, გადასაღებ მოედანზე, სატელევიზიო დადგმებში, ნებისმიერ წარმოდგენასა და პერფორმანსში და სხვ. 3. მისცეს სტუდენტს დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული, სახელოვნებო და ჰუმანიტარული თეორიული საბაზისო განათლება, ცოდნისა და უნარების ზოგად სახელოვნებო, კულტურულ სივრცეებში ინტეგრირებისათვის. 4. ჩამოაყალიბოს მაღალი პროფესიული ეთიკის მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს დამოუკიდებელ პროფესიულ განვითარებას, ადაპტაციას და თავის დამკვიდრებას თეატრში, კინოში, სატელევიზიო და სხვ. სივრცეში. დამოუკიდებლად მუშაობას საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ–ჩვევების დახვეწასა და გამოვლენაზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე შემოქმედებით ჯგუფთან ერთად შესაბამისი პროფილის გათვალისწინებით.
სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება	1. ახდენს სამსახიობო ხელოვნების არსის, მსახიობის პროფესიის დარგობრივი კომპეტენციების (დრამა, კინო, თოჯინები) სამსახიობო ოსტატობის, საბაზისო უნარების, ცოდნის დონისა და ელემენტების დემონსტრირებას. 2. ახდენს სცენური თუ ეკრანული პერსონაჟის შექმნისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას, რეჟისორთან მუშაობისა და პარტნიორული ურთიერთობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით. 3. ავლენს მხატვრულ-ესთეტიკური და ჟანრობრივი თავისებურებების, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების, სხვადასხვა თეატრალური მეთოდოლოგიის, მსოფლიო კლასიკური თანამედროვე ლიტერატურისა და დრამატურგიული ნიმუშების, სცენაზე და გადასაღებ მოედანზე ქცევის კულტურის შესახებ ცოდნის დემონსტრირებას.
უნარი	4. კვალიფიციურად და არგუმენტირებულად მსჯელობს ლიტერატურული პირველწყაროების შესახებ, თეატრალური და კონოხელოვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე 5. სცენური და ეკრანული სახის შესაქმნელად იყენებს დარგობრივ და მულტიდისციპლინარულ საგნების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, სამსახიობო ოსტატობის, მეტყველების, ვოკალის, რიტმიკის, სასცენო მოძრაობის, პანტომიმის, ეტიკეტის, თოჯინების მართვის, კამერასთან მუშაობის უნარებს. 6. ავლენს სცენასა და გადასაღებ მოედანზე, სამსახიობო პროფესიისათვის დამახასიათებელ ჩვევებსა და ვერბალურ- პლასტიკური ორგანული ქმედების, პარტნიორული ურთიერთობის საჯარო მარტოობის შეგრძნების უნარებს. ინარჩუნებს შემოქმედებითი მუშაობისათვის შესაბამის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მხატვრული სახის შექმნისას როლიდან გამომდინარე მოქმედებს პერსონაჟის მსოფლმხედველობის, ფსიქოფიზიკური არქეტიპის თვისებების შესაბამისად. 7. საკუთარი შემოქმედებითი უნარების შესაბამისად, ავლენს პროფესიული, ინდივიდუალური ქცევის სტილს. ახდენს მის ინტერპრეტირებას სადადგმო კონცეფციიდან გამომდინარე. 8. ფლობს გუნდური თანამშრომლობისა და ურთიერთობის უნარს. ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას რეჟისორთან, დასთან, სადადგმო

	გადამღებ ჯგუფთან და მაყურებელთან. 9. მოძიებული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ქმნის ნაშრომს/პროექტს და ახდენს მის პრეზენტაციას, მოპოვებული ინფორმაციისა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით.
პასუხიმსგებლობა და ავტონომიურობა	10. დამოუკიდებლად წარმართავს და აფასებს სწავლის პროცესს, საკუთარი პროფესიული კომპეტენციის შეფასებიდან გამომდინარე განსაზღვრავს, შემდგომი სწავლის საჭიროებებს. 11. პასუხისმგებლობით ეკიდება მსახიობის პროფესიას. იცავს მხატვრულ-ესთეტიკურ ნორმებს და იყენებს მათ პროფესიულ საქმიანობაში. მკაცრად იცავს შემოქმედებითი ეთიკის ნორმებს. აცნობიერებს სათეატრო/კინო ხელოვნების ობიექტურ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების განმტკიცების საქმეში. უშუალოდ მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში.
დასაქმების სფერო	სასწავლო კურსის გავლისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს: ● დრამატულ და თოჯინების თეატრში; ● კინემატოგრაფიაში; ● სატელევიზიო დადგმებში; ● შოუ პროგრამებში; ● კულტურის დაწესებულებებში (კულტურისა და ხელოვნების ცენტრები); ● ინდივიდუალურ შემოქმედებაში;
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის

	საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ● შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	სწავლებისა და სწავლის პრატიკული და თეორიული მეთოდები: ვერბალური მეთოდი; მასალაზე (პიესა, ლიტერატურული ნაწარმოები, პოეზია, პროზა და ა.შ.) მუშაობის მეთოდი; თეორიული ანალიზის მეთოდი; სასწავლო მასალასთან დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი/წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრეზენტაციისმეთოდი; დისკუსია/დებატების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; შედარებითი ანალიზის მეთოდი. დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; დაკვირვების მეთოდი; ურთიერთსწავლება; ურთიერთშეფასება; როლური და სიტუაციური თამაშები; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში წყაროებთან და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ–რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; ● სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. ● საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.
სწავლის გაგრძელება	ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა		
აკადემიური პერსონალი		
სახელი, გვარი	*სტატუსი*	*სასწავლო კურსი*
თამაზ ბოლქვაძე	აფილირებული პროფესორი	მსახიობის ოსტატობა; თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია
ვლადიმერ ბიბილეიშვილი	აფილირებული პროფესორი, დოქტორი	მსახიობის ოსტატობა
თამილა მეიშვილი	აფილირებული პროფესორი	სასცენო მეტყველება
თეა ცაგურია	აფილირებული ასისტენტ პროფესორი დოქტორი	სასცენო მეტყველება
მერაბ ლებანიძე	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	მსახიობის ოსტატობა
მანანა ხელაია	აფილირებული ასისტენტი	მსახიობის ოსტატობა; სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი)
ნინო დავითაშვილი	აფილირებული ასისტენტი დოქტორი	მსახიობის ოსტატობა
თეიმურაზ კეჟერაძე	აფილირებული პროფესორი, დოქტორი	საზღვარგარეთის თეატრის ისტორია; ქართული თეატრის ისტორია;

		შესავალი დრამის თეორიაში;
ამირან ვადაჭკორია	აფილირებული ასისტენტ პროფესორი,	მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა; გახმოვანების ოსტატობის საფუძვლები
თამარ ბერიძე	აფილირებული ასისტენტ პროფესორი დოქტორი	რიტმიკა; სასცენო მოძრაობა; კლასიკური ცეკვა; სამეჯლისო ცეკვა; სახასიათო ცეკვა
ტარიელ გველესიანი	აფილირებული ასისტენტ პროფესორი	ვოკალი
რატი ჩიბურდანიძე	აფილირებული პროფესორი, დოქტორი	სახვითი ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი
ოლღა ღღენტი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი	მსოფლიო კინოს ისტორია, ქართული კინოს ისტორია
გულნარა გორგილაძე	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი	ინგლისური ენა
მოწვეული პერსონალი		
ავთანდილ ქარჩავა	სპეციალისტი (I კატ.)	ფარიკაობა
მარიამ კორინთელი	სპეციალისტი (I კატ.)	საზღვარგარეთის ლიტერატურა
ლიანა გველესიანი	სპეციალისტი (I კატ.)	მუსიკის თეორიისა და ისტორის ზოგადი კურსი
ნინო მექვაბიშვილი	სპეციალისტი (I კატ.)	შემოქმედებითი ფსიქოლოგია
მირანდა ბაღდადიშვილი	სპეციალისტი (I კატ.)	ცეკვა (ქართული)
კარინა კარდაშიანი	სპეციალისტი (I კატ.)	გრიმი
მანანა სულაბერიძე	სპეციალისტი (Iკატ) (დოქტორი)	აკადემიური წერა
გიორგი ქათამაძე	მოწვეული სპეციალისტი	მსახიობის ოსტატობა
მარინა ბურდული	სპეციალისტი (II კატ.)	სასცენო მეტყველება
გიორგი ფირცხალაიშვილი	სპეციალისტი (II კატ.)	სასცენო მოძრაობა (პანტომიმა)
პროგრამის ხელმძღვანელი	თამაზ ბოლქვაძე - დრამისა და თოჯინების თეატრის რეჟისორი, პროფესორი სასცენო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მობ 579252730 ელ. ფოსტა: tbolkvadze1957@gmail.com	
სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	● ბხსუ უზრუნველყოფილია სასწავლო სახელოსნოებითა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. ● ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ქსელში Open Biblio და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის; ● ბხუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პედაგოგიური და საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად - კვალსიფიკაციის შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან.	

კოდი	*წინაპირობა*	*სასწავლო კურსის დასახელება*	*კრედიტი*	*საათების რ-ბა*			*კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით*							
				სულ	*სკოლის*	*დამოუკ.*	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		სპეციალობის საერთო კურსები	**110**	**2750**	**1350**	**1400**	**14**	**16**	**12**	**12**	**15**	**14**	**11**	**15**
B4Mfc-1		მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი კურსი	5	125	50	75	5							
B4Hfc-10		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (ანტიკური-შუა საუკუნეები)	3	75	30	45	3							
B4Hfc-11		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (რენესანსი -კლასიციზმი)	4	100	40	60		4						
B4Hfc-12		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (აღმოსავლეთის თეატრი)	3	75	30	45							3	
B4Hfc-13		საზღვარგარეთის თეატრის ისტორია განმათლებლობის ეპოქა - თანამედროვე თეატრი)	3	75	30	45			3					
B4Hfc-1		შესავალი შემოქმედების ფსიქოლოგიაში	4	75	30	45		3						
B4Hfc-14		საზღვარგარეთის ლიტერატურა 1	3	75	30	45		3						
B4Hfc-15		საზღვარგარეთის ლიტერატურა 2	3	75	30	45			3					
B4Hfc-16		ქართული თეატრის ისტორია 1	3	75	30	45				3				
B4Hfc-17		ქართული თეატრის ისტორია 2	3	75	30	45					3			
B4Hfc-18		სახვითი ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი	3	75	30	45					3			
B4Hfc-19		საზღვარგარეთის კინოს ისტორია	3	75	30	45						3		
B4Hfc-20		ქართული კინოს ისტორია	3	75	30	45							3	
B4Hfc-21		შესავალი დრამის თეორიაში	2	50	20	30							2	
B4Mfc-1-1		ვოკალი 1	3	75	45	30				3				
B4Mfc-1-2	*B4Mfc-1-1*	ვოკალი 2	3	75	45	30					3			
B4g1-1		რიტმიკა 1	3	75	45	30	3							
B4g1-2	*B4g1-1*	რიტმიკა 2	3	75	45	30		3						
B4g2-1	*B4g1-2*	სასცენო მოძრაობა 1	3	75	45	30			3					
B4g2-2	*B4g2-1*	სასცენო მოძრაობა 2	3	75	45	30				3				
B4g2-3		სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი) 1	3	75	45	30					3			
B4g2-4	*B4g2-3*	სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი) 2	3	75	45	30						3		
B4g2-5	*B4g2-4*	სასცენო მოძრაობა (ფარიკაობა)	3	75	45	30						3		
B4g3	*B4g2-2*	პანტომიმა	3	75	45	30							3	

B4g4-1		ცეკვა (კლასიკური) 1	3	75	45	30	3							
B4g4-2	*B4g4-1*	ცეკვა (კლასიკური)2	3	75	45	30		3						
B4g4-3	*B4g4-2*	ცეკვა (სახასიათო)1	3	75	45	30			3					
B4g4-4	*B4g4-2*	ცეკვა (სახასიათო)2	3	75	45	30				3				
B4g4-5	*B4g4-2*	ცეკვა (სამეჯლისო)	3	75	45	30					3			
B4g4-6		ცეკვა (ქართული)	3	75	45	30						3		
B4g5		გრიმი	2	50	30	20						2		
B4p	*B4-1b1-7; B4-2b1-7*	პრაქტიკა	5	125	50	75								5
B4g6		საბაკალავრო ნაშრომი	10	250	100	150								10
სპეციალობის ძირითადი კურსები - დრამისა და კინოს სამსახიობო			**98**	**2425**	**1455**	**970**	**13**	**14**	**13**	**13**	**15**	**16**	**14**	
B4-1b1-1		მსახიობის ოსტატობა1	9	225	135	90	9							
B4-1b1-2	*B4-1b1-1*	მსახიობის ოსტატობა 2	9	250	150	100		10						
B4-1b1-3	*B4-1b1-2*	მსახიობის ოსტატობა 3	9	225	135	90			9					
B4-1b1-4	*B4-1b1-3*	მსახიობის ოსტატობა 4	9	225	135	90				9				
B4-1b1-5	*B4-1b1-4*	მსახიობის ოსტატობა 5	9	225	135	90					9			
B4-1b1-6	*B4-1b1-5*	მსახიობის ოსტატობა 6	9	225	135	90						9		
B4-1b1-7	*B4-1b1-6*	მსახიობის ოსტატობა 7	10	250	150	100							10	
B4-1b2-1		სასცენო მეტყველება 1	4	100	60	40	4							
B4-1b2-2	*B4-1b2-1*	სასცენო მეტყველება 2	4	100	60	40		4						
B4-1b2-3	*B4-1b2-2*	სასცენო მეტყველება 3	4	100	60	40			4					
B4-1b2-4	*B4-1b2-3*	სასცენო მეტყველება 4	4	100	60	40				4				
B4-1b2-5	*B4-1b2-4*	სასცენო მეტყველება 5	4	100	60	40					4			
B4-1b2-6	*B4-1b2-5*	სასცენო მეტყველება 6	4	100	60	40						4		
B4-1b2-7	*B4-1b2-6*	სასცენო მეტყველება 7	4	100	60	40							4	
B4-1b3		გახმოვანების ოსტატობა	2	50	30	20					2			
B4-1b4		მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა	3	75	45	30						3		
სპეციალობის ძირითადი კურსები - დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო			**98**	**2425**	**1455**	**970**	**13**	**14**	**13**	**13**	**15**	**16**	**14**	
B4-2b1-1		მსახიობის ოსტატობა1	9	225	135	90	9							
B4-2b1-2	*B4-2b1-1*	მსახიობის ოსტატობა 2	9	250	150	100		10						
B4-2b1-3	*B4-2b1-2*	მსახიობის ოსტატობა 3	9	225	135	90			9					
B4-2b1-4	*B4-2b1-3*	მსახიობის ოსტატობა 4	9	225	135	90				9				

B4-2b1-5	*B4-2b1-4*	მსახიობის ოსტატობა 5	9	225	135	90					9			
B4-2b1-6	*B4-2b1-5*	მსახიობის ოსტატობა 6	9	225	135	90						9		
B4-2b1-7	*B4-2b1-6*	მსახიობის ოსტატობა	10	250	150	100							10	
B4-2b2-1		სასცენო მეტყველება 1	4	100	60	40	4							
B4-2b2-2	*B4-2b2-1*	სასცენო მეტყველება 2	4	100	60	40		4						
B4-2b2-3	*B4-2b2-2*	სასცენო მეტყველება 3	4	100	60	40			4					
B4-2b2-4	*B4-2b2-3*	სასცენო მეტყველება 4	4	100	60	40				4				
B4-2b2-5	*B4-2b2-4*	სასცენო მეტყველება 5	4	100	60	40					4			
B4-2b2-6	*B4-2b2-5*	სასცენო მეტყველება 6	4	100	60	40						4		
B4-2b2-7	*B4-2b2-6*	სასცენო მეტყველება 7	4	100	60	40							4	
B4-2b3-1		თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია 1	2	50	30	20					2			
B4-2b3-2	*B4-2b3-1*	თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია2	3	75	45	30						3		
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები			*13*	*325*	*150*	*175*	*3*		*5*	*5*				
U-1		აკადემიური წერა	3	75	50	25	3							
E-B1.1		ინგლისური ენა B1.1	5	125	50	75			5					
E-B1.2	E-B1.1	ინგლისური ენა B1.2	5	125	50	75				5				
E-B2.1		ინგლისური ენა B2.1	5	125	50	75			5					
E-B2.2	E-B2.1	ინგლისური ენა B2.2	5	125	50	75				5				
დამატებითი სპეციალობა minor/არჩევითი ბლოკები/კურსები			*20*	*500*	*200*	*300*							*5*	*15*
სულ			*240*	*6000*			*30*	*30*	*30*	*30*	*30*	*30*	*30*	*30*